ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4361156

ნომერი: AR1658881

თარიღი : 01.02.2019

გაცემის თარიღი : 04.02.2019

გაცნობის თარიღი : 05.02.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 87ზ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მეგრელიშვილი პ/ნ 01022003393
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 16 კორ. 1 ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ნოემბრის №4242655 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 01 თებერვალს №AR1658881 განცხადებით მომართა დავით მეგრელიშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა

სამსახურის 2018 წლის 08 ნოემბრის №4242655 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 08 ნოემბრის №4242655 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №87ზ-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 01.13.06.004.049), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 08 ნოემბრიდან 2019 წლის 08 მაისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ნოემბრის №4242655 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორად არის მითითებული საოფისე ფართობი 409.08 კვ.მ და მის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს კომერციული ფართობი 409.8 კვ.მ.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2018 წლის 08 ნოემბრის №4242655 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დაფიქსირებულია კომერციული ფართობი, ხოლო აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად კომერციული ფართობი 409.08 კვ.მ-ის ნაცვლად მითითებულია საოფისე ფართობი 409.08 კვ.მ, აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ნოემბრის №4242655 ბრძანებაში და ბრძანებიდან ამღებულ იქნას: ,,საოფისე ფართობი 409.08 კვ.მ'' და მის ნაცვლად დაფიქსირდეს: ,,კომერციული ფართობი 409.08 კვ.მ''.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ნოემბრის №4242655 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ნოემბრის №4242655 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.